საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე

ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ღრმად ვართ შეშფოთებული იმ ძალადობის გამო, რაც თავისუფალი და ძლიერი სულისკვეთების მქონე უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული, რომლებიც იცავენ ფუნდამენტურ უფლებებს, თავისუფლებას და უკრაინის ევროპულ მისწრაფებებს.

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

უკრაინა და საქართველო ისტორიულად ევროპული ქვეყნები არიან, რომლებიც იზიარებენ ტრაგიკულ და ბრუტალ საბჭოთა ოკუპაციის ისტორიას. საერთო წარსული, მოგვიწოდებს ჩვენ გავაერთიანოთ ძალები ჩვენი ქვეყნების ევროპული მომავლის დასაცავად. მოსკოვის პოზიცია უკრაინის ევროპული ინტეგრაციასთან მიმართებაში, კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის ამბიციას, რომ შექმნას ახალი გამყოფი ხაზი ევროპაში. სწორედ ამიტომ, ჩვენ გვსურს, შევუერთდეთ ჩვენს უკრაინელ კოლეგებს იმის განცხადებაში, რომ რუსეთს არ უნდა მიეცეს საშუალება, შემოაბრუნოს ჩვენი ქვეყნების ევროპული გზა.

სოლიდარობის გამოცხადებასთან ერთად, ამ რთულ დროს, ჩვენ მზად ვართ შევთავაზოთ, ჩვენი პროფესიული და ინტელექტუალური დახმარება უკრაინის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, შემდეგი გზებით:

- ჩვენი გამოცდილების და ცოდნის გაზიარება სხვადასხვა სფეროში,
- საერთაშორისო კომუნიკაციაში ხელშეწყობა,
- იურიდიული ექსპერტიზის უზრუნველყოფა შესაბამის საკითხებზე,
- უკრაინული სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა ყოველდღიური გამოწვევების გადასაწყვეტად,
- არსებული პოლიტიკური კრიზისად, ცივილიზებულად და მშვიდობიანად გამოსვლის გზების ძიებაში რჩევების მიცემა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სოლიდარობა ამ ეტაპზე ევროპული ღირებულებების, თავისუფლების ღრმა რწმენის , მშვიდობისა და დემოკრატიის გამარჯვების საწინდარია.

განცხადებას ხელს აწერენ:

ორგანიზაციები:
საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS),
საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI),
საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (FISS),
საერთაშორისო საზოგადოება თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნებისთვის (ISFED),
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA),
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDa),
საერთაშორისო გამჭირვალობა (TI),
კონსტიტუციის 42-ე მუხლი,
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI),

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD),
სახალხო მოძრაობა ივერია, მედიის განვითარების ფონდი, ფონდი ALPE,
ევროპულ ღირებულებათა ქართული ინსტიტუტი (GIEV),
საქართველოს ატლანტიკური საბჭო, სამოქალაქო განლათლების ფონდი,
მედიაჰოლდინგი ტაბულა,
თბილისის პოლიტიკის ანალიზის ცენტრი,
პოლიტიკის შესწავლის საერთაშორისო ცენტრი,
თანამშრომლობა ადამიანიას უფლებებისთვის,
გაერთიანება საპარი, იდენტობა, ფსიქოტრამვების ქართული საზოგადოება.

პიროვნებები:
თამარ გურჩიანი (იურისტი),
ნინია კაკაბაძე (ჟურნალისტი),
დათო ტურაშვილი (მწერალი),
ოთარ კახიძე (იურისტი),
ირაკლი აბსანძე (ჟურნალ ლიბერალის მთავარი რედაქტორი),
ნინო ბეკიშვილი (ჟურნალისტი),
ნინო მუსერიძე (Frontline Georgia Club),
გრიგოლ ვაშაძე (დიპლომატი),
იანა (დარეჯან) ჯავახიშვილი (ფსიგოლოგი),
ეკა კვესიტაძე (ჟურნალისტი),
ქეთი დევდარიანი (სცენარისტი),
გიორგი ლიფონავა (რეჟისორი),
მიშა მშვილდაძე (პროდიუსერი),
ზვიად გუმბარიძე (პროდიუსერი),
ლევან ღამბაშიძე (GFSIS),
დავით პაიჭაძე (ჟურნალისტი),
ვატო ლეჟავა (კონსტულტანტი).